განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
# უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „მედიის კვლევები და მულტიმედია წარმოება“

## უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
14.06.2019
დასკვნის წარდგენის თარიღი
5.07.2019

თბილისი
2019

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი<br>Caucasus International University – LLC<br>შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 201951637 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | მედიის კვლევები და მულტიმედია წარმოება<br>Media Studies and Multimedia Production |
| განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი მედიის კვლევებში<br>Master of Social Sciences in Media Studies<br>070301 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 120 ECTS კრედიტი |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | ახალი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო შოშიტაშვილი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ლელა ფირალიშვილი,<br>აპ.ქუთათელაძის სახ. სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თეონა კუპრაძე<br>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის<br>სახელმწიფო უნივერსიტეტი,<br>საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სამაგისტრო პროგრამა „მედიის კვლევები და მულტიმედია წარმოება“ მომზადდა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ახალია და წარდგენილია აკრედიტაციის მოსაპოვებლად. პროგრამა ორ ძირითად მიზანს ისახავს: ერთი მხრივ, ესაა მედიის კვლევების წარმოება, მეორე მხრივ კი მედიაპროდუცირება. აღნიშნული სისტემების ერთობლივი მოქმედება, ასე ვთქვათ, სინერგია, მაგისტრანტის დარგობრივ მომზადებას ოპტიმალურად უზრუნველჰყოფს. დღეს შრომის ბაზარს ესაჭიროება ხარისხიანი მედიამკვლევრები, მულტიმედიური კომპეტენციის მქონე კადრის არჩევა კი დამსაქმებლისთვის დამატებითი მოტივაცია შეიძლება გახდეს.

სრული პროგრამული კურსი გათვლილია 120 ECTS კრედიტზე, წელიწადში – 60 კრედიტი, სემესტრში – 30 კრედიტი. საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტის მიერ არანაკლებ 120 კრედიტის მოგროვებას. 6 კრედიტიანი სასწავლო კურსების არჩევის შემთხვევაში სტუდენტი პროგრამას დაასრულებს ½ -ით მეტი, (121/122) კრედიტით (არჩევითი სასწავლო კურსები 5 ან 6 კრედიტინია).

პროგრამა ითვალისწინებს: სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს - 40 ECTS ; სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსებს - 15/16/17 ECTS; პრაქტიკული კომპონენტს - 10 ECTS ; კვლევითი კომპონენტს - 45 ECTS (მათ შორის სამაგისტრო ნაშრომს -30 ECTS). პროგრამის სავალდებულო მოდულში გაერთიანებულია სასწავლო კურები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროფესიული ცოდნის მიღებასა და უნარების გამომუშავებას. პროგრამის არჩევითობის კომპონენტი წარმოდგენილია 3 მოდულის სახით, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს მოახდინოს კონცენტრირება პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების; აგრარული მეცნიერებების; ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულებით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ვიზიტი განხორციელდა მ/წ 14 ივნისს. წინასწარ შეთანხმებული დღის განრიგის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფის წევრები შეხვდნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, მომიჯნავე პროგრამის (ჟურნალისტიკა) სტუდენტებსა და კურსამთავრებულებს. ასევე, პოტენციურ დამსაქმებლებს. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერაა კსუ-ს ინფრასტრუქტურა, ბიბლიოთეკა და მულტიმედიაცენტრი, რომელიც ძირითად ბაზას წარმოდგენს პროგრამისთვის. ადგილზე გაეცნო ფაკულტეტის სტუდენტების მიერ გამოცემულ ჟურნალ-გაზეთებს;

ბიბლიოთეკაში შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადაამოწმა პროგრამის სილაბუსით გათვალისწინებული ლიტერატურა და საბიბლიოთეკო ბაზებთან ხელმისაწვდომობა.

ვიზიტის განმავლობაში ექსპერტთა ჯგუფმა ობიექტურად, მშვიდ და კოლეგალურ გარემოში წარმართა მუშაობა; დასასრულს კსუ-ს ადმინისტრაციის წარმომადგენლებს წარუდგინა პროგრამის შესახებ მოცემულ ეტაპზე ჩამოყალიბებული ძირითადი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პირველი , მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტები შესაბამისობაშია, მეორე სტანდარტი - მეტწილად შესაბამისობაში.

- **რეკომენდაციები**

  - პროგრამის კურიკულუმს დაემატოს სასწავლო კურსი- სოციოლოგიურ მონაცემთა დამუშავება და ანალიზი, ან / დამოუკიდებელი პრაქტიკის კურსში აისახოს სოციოლოგიურ მონაცემთა დამუშავებისა და ანალიზისთვის აუცილებელი პროფესიული უნარების გამომუშავება.
  - სასწავლო კურსის „ლოკალური მედიის ტენდენციები“ სწავლება განისაზღვროს მესამე სემესტრში, წინაპირობად მიეთითოს „მედიის კვლევების ფორმები და ტექნოლოგიები“;
  - შეიცვალოს და განახლდეს ლიტერატურა სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებში: „ ლოკალური მედიის ტენდენციები“; „კომუნიკაციის აუდიოვიზულური ფორმები 1 (აუდიო კონტენტის წარმოება);
  - პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსი გაძლიერდეს მედიამკვლევრისთვის საჭირო პროფესიული უნარების გამომუშვების კუთხით;
  - გააქტიურდეს პროგრამის აკადემიური/მოწვეული პერსონალის ჩართვა სამეცნიერო კვლევით პროექტებში, მით უმეტეს რომ უნივერისტეტი ამის სრულ შესაძლებლობას იძლევა.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- პროგრამის სასწავლო კურსებში (როგორც ძირითად, ასევე არჩევით საგნებში) კურსების შინაარსზე და კურიკულუმში მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დამატებულ იქნას თანამედროვე, უახლეს ტენდენციებსა და მიღწევებზე დაფუძნებული რელევანტური ლიტერატურა მათ შორის სასწავლო მასალები (მათ შორის ვიდეო ლექციებიც);
- სტაჟირების/პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსის შეთავაზება (არჩევითობის პრინციპით) პარტიორ მედიაორგანიაციებშიც, რაც ხელს შეუწყობს როგორც სტუდენტების უშუალოდ პროფესიულ გარემოში ადაპტირებას, ისე მათ დასაქმებას;

- სასურველია დაწესებულებამ გარე შეფასების მექანიზმად, გარდა პროგრამების აკრედიტაცია და ავტორიზაციისა, გამოიყენოს ექსპერტებისა და მსგავსი პროფილის უცხოური უსდ-ის წარმომადგენლების შეფასების მექანიზმებიც;

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

----------

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

------

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**
   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
| --- |
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „მედიის კვლევები და მულტიმედია წარმოება“ მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და ორიენტირებულია მოამზადოს მულტიმედიური ჟურნალისტიკის მკვლევარი, რომელსაც აქვს კომუნიკაციის თანამედროვე თეორიების ცოდნა და შეუძლია აკადემიურ სფეროში ახალი ცოდნის გენერირება. პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, მიღწევადია და ასახავს იმ ცოდნასა და უნარებს, რაც პროგრამის ფარგლებში გამოუმუშავდებათ კურსდამთავრებულებს: კერძოდ, უახლესი ტექნოლოგიების და მიდგომების გამოყენებით სფეროში კომპლექსური საკითხების გაცნობიერების უნარი; თანამედროვე დატვირთულ ინფორმაციულ ველში წყაროებზე მუშაობის, სასურველი მასალის მოპოვების, დამუშავების, კვლევის, ანალიზისა და გავრცელების უნარი; ბეჭდური, სამაუწყებლო და ონლაინ მედიისთვის ჟურნალისტური მასალების მომზადების უნარი, დაკაბადონებისა და მონტაჟის ჩათვლით.<br>პროგრამის მიზნები ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ტენდენციებს; უსდ-ს მიერ ჩატარებულმა დასაქმების ბაზრის კვლევამ და პოტენციურ დამსაქმებლებთან ინტერვიუმ აჩვენა ამ სფეროს მაღალკვალიფიციურ კურსდმთავრებულთა საჭიროება. პროგრამის მიზანი გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ.<br><br>საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის ეფექტიანი წარმოებისათვის კსუ-ს აქვს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომლის ფარგლებში გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობითი ხელშეკრულებები ბიჟელჟინას სიენერგიის (ბოსნია) და ვენდას უნივერსიტეტებთან ( სამხერთ აფრიკის რესპუბლიკა). პროგრამის ხელმძღვანელმა პროგრამის Erasmus+ის ფარგლებში ჩაატარა ლექციები კაუნასის უნივერსიტეტში (ლიეტუვა); ერაზმუს+ პრინტელ პროგრამის ფარგლებში იოჰან ნოიმის უნივერსიტეტში (გრაცი, ავსტრია) გაიარა მომზადება შერეული/ჰიბრიდული სწავლების მიმართულებით, რაც უნივერსიტეტის ბაზაზე პროფესორებისთვის ტრენინგების ჩატარებას და სასწავლო პროცესში პრაქტიკული სიახლეების დანერგვას ითვალისწინებს. |

| |
|---|
| სამაგისტრო პროგრამის „მედიის კვლევები და მულტიმედია წარმოება" განხილვის პროცესში გამოცდილების გაზიარების მიზნით, ონლაინკონფერენციების ფორმატით, ჩართულნი იყვენენ „დოიჩე ველე აკადემიის" (გერმანია) წარმომადგენლები. ინტერვიუს შედეგად დადასტურდა ურიერთთანამშრომლობის პერსპექტივები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>▪ პროგრამის მიზნები;<br>▪ საგანმანათლებლო პროგრამა;<br>▪ თვითშეფასების ანგარიში;<br>▪ კსუ -ს მისია, სტრატეგიული განვითარების გეგმა; ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია( მათ შორის პროგრამის);<br>▪ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;<br>▪ უნივერსიტეტის ვებგვერდი **http://www.ciu.edu.ge**.<br>▪ ინტერვიუს შედეგები ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან; თვითშეფასების ჯგუფთან . |
| რეკომენდაციები:<br><br>○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>➢ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში შემავალი სასწავლო კურსებისა და მოდულების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას, რომელიც შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეორე (სამაგისტრო) საფეხურის სათანადო აღმწერის დონეს. სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. პროგრამის სტრუქტურაში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსებში მკაფიოდ არის გამიჯნული თითოეული საგნის, სასწავლო დისციპლინის მიზანი და სწავლის შედეგები, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს ცოდნის, პრაქტიკული უნარებისა და კომპეტენციების მკაფიოდ გამიჯვნას.

პროგრამის შემუშავებელმა ჯგუფმა შედეგების ფორმირებისას გაითვალისწინა მედიის კვლევის, მასობრივი კომუნიკაციისა და მულტიმედიური ჟურნლისტიკის თემატიკა; სასწავლო მეთოდოლოგია; შეფასების სისტემა; მატერიალური და ადამიანური რესურსი; ასევე, დამუშავდა პროგრამის სწავლის შედეგების რუკა.

პროგრამის შედეგები ითვალისწინებს დასაქმებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს აქვს თანამედროვე კომუნიკაციის თეორიების საფუძვლიანი ცოდნა; ფლობს მედიის კვლევის სისტემურ ცოდნას და პროფესიულ უნარებს; ამასთან აქვს საკმარისი კომპეტენცია იმისათვის, რომ სრულფასოვნად ჩაერთოს ტრადიციული და ახალი მედიასაშუალებების: გაზეთის, ჟურნალის, რადიოს, ტელევიზიის, ინტერნეტგამოცემის და სხვ. მუშაობის პროცესში. მიღებული ცოდნის საფძველზე მაგისტრანტს შეუძლია განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელებას.

საგანმანათებლო პროგრამას განსაზღვრული აქვს პროგრამის სწავლის შედეგების ( პსშ) შეფასების მექანიზმი. პსშ შემუშავებულია დარგობრივი თავისებურებებისა სოციალურ მეცნიერებათა მომავალი მაგისტრისთვის მედიის კვლევებში აუცილებელი კომპეტენციების გათვალისწინებით. პსშ წარმოადგენს ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რაც ექნება მედიის კვლევების და მულტიმედია წარმოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს.

სწავლის შედეგების შეფასებისათვის პროგრამა იყენებს სწავლის შედეგების პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდებს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტებია: სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შუალედური და

| |
|---|
| დასკვნითი შეფასებები. სტუდენტთა ანონიმური გამოკითხვა და ფოკუს შეხვედრები დაინტერესებულ პირებთან.<br>სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ. პროგრამას შემუშვებული აქვს კურიკულუმის რუკა; პროგრამის სწავლის შედეგების (პსშ) შეფასების გეგმა, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის დებულება; სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც ასახულია თუ რომელი სასწავლო კურსის ფორმატში ხდება პროგრამის სწავლის თითოეული შედეგის რეალიზება. შედეგები რანჟირებულია:<br>▪ საბაზისო ცოდნა;<br>▪ განმავითარებელი ცოდნა;<br>▪ კომპლექსური ცოდნა.<br>პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებელი კონკრეტული გეგმა და გრაფიკი, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში დეტალურადაა გაწერილი. პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული კურსის სწავლის შედეგისათვის.<br>პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს, რაც დასტურდება ინტერვიუს სესიებით. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.<br>გამომდინარე იქიდან რომ პროგრამა ახალია, შესაბამისად, ვერ მოხდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მონაცემების დადარება . |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>▪ საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები<br>▪ საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები<br>▪ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი<br>▪ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის დოკუმენტი<br>▪ განხორციელებული შეფასების შედეგები<br>▪ უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა/დამსაქმებელთა/პერსონალის გამოკითხვის ფორმები, გამოკითხვის შედეგები და მათი გამოყენება' |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |

| |
|---|
| ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>➢ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | V | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირები პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან;

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „მედიის კვლევები და მულტიმედია წარმოება“ ჩარიცხვა ხდება საერთო სამაგისტრო გამოცდის, , კსუ-ში სპეციალობაში ჩატარებული შიდა გამოცდისა და ინგლისურ ენაში ტესტირების შედეგების საფუძველზე. სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის მსურველს მოეთხოვება ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი. ამასთან, ინგლისური ენის B2 (ALTE) დონეზე ცოდნის სერთიფიკატის წარდგენისაგან თავისუფლდება პირი, რომელსაც საბაკალავრო პროგრამა გავლილი და დასრულებული აქვს ინგლისურ ენაზე.

კსუ-ში პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირებისათვის, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდის მეშვეობით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- „მედიის კვლევებისა და მულტიმედია წარმოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულება;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი http://www.ciu.edu.ge
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

➢ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა „მედიის კვლევები და მულტიმედია წარმოება" შედგენილია კსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით, რომელიც ითვალისწინებს: დასაქმების ბაზრის კვლევას; დაინტერესებული მხარეების გასაზღვრას და სამუშაო ჯგუფის დაკომპლექტებას; პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრას; SWOT ანალიზს; პროგრამის განვითარების გეგმას; პროგრამის განხორციელების პროცესის შესაბამისობას პერიოდული შედეგების პროგრამის მიზნებსა და სტრატეგიებთან.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 2 წელს ანუ 4 სემესტრს შეადგენს. საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტის მიერ არანაკლებ 120 კრედიტის მოგროვებას. 6 კრედიტიანი სასწავლო კურსების არჩევის შემთხვევაში სტუდენტი პროგრამას დაასრულებს ½ -ით მეტი, (121/122) კრედიტით ( არჩევითი სასწავლო კურსების მოდულებში შეთავაზებულია 5, 6-კრედიტიანი სასწავლო კურსები).

სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. როგორც პირველი (შემოდგომის), ასევე მეორე (გაზაფხულის) სემესტრის ხანგრძლივობა მოიცავს 19 კალენდარულ კვირას, შესაბამისად სასწავლო წელი დაგეგმილია 38 კვირაზე.

პროგრამა ითვალისწინებს :

(A) სპეციალობის სავალდებულო სასწავლოკურსები - **40 ECTS**

(B) სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურს ები - **15/16/17 ECTS**

(C) პრაქტიკული კომპონენტი - **10 ECTS**

(D) კვლევითი კომპონენტი - **45 ECTS**

სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების მოდული აერთიანებს : ა) მედიის ფუნდამენტური პრინციპებისა და თეორიების მოდულს, რომლის ფარგლებში მაგისტრანტები შეისწავლიან თანამედროვე კომუნიკაციის თეორიებს, მულტიმედია სივრცეში საინფორმაციო სტრატეგიების თავისებურებებსა და გლობალური მედია ლიდერი კომპანიების წინაშე არსებულ გამოწვევებს; ბ) კვლევითი სასწავლო კურსების მოდულს, რომელიც უზრუნველჰყოფს მედიამკვლევრისთვის აუცილებელი კვლევითი უნარების განვითარებას. გ)ტექნოლოგიების შესწავლაზე ორიენტირებული სასწავლო კურსების მოდული, რომელიც მულტიმედიური სპეციფიკის სწავლებაზეა ორინეტირებული.

საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე უზრუნველყოფილია თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში არჩევითობა. კერძოდ არჩევითი საგნები სამი სემესტრის მანძილზე (პირველ, მეორე და მესამე სემესტრებში) შეეთავაზება მაგისტრანებს. თავისი მიზნითა და შინაარსით, არჩევითი სასწავლო კურსები ორ კატეგორიად იყოფა:

1. **ზოგადი დარგობრივი ცოდნის შემცველი მოდული** შემდეგი სასწავლო კურსებით: საქმიანი კომუნიკაციები (ინგლისურ ენაზე); მედიის სამართლებრივი რეგულირება; კიბერუსაფრთხოება, მედია ორგანიზაციის ბიზნესმოდელირება; მასმედია და მასკულტურა. სტუდენტთა მოთხოვნის შემთხვევაში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სასწავლო კურსების ინგლისურ ენაზე შეთავაზებას.
2. სამი დარგობრივი მოდული: **პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების; აგრარული მეცნიერებების; ეკონომიკისა და ბიზნესის მოდული,** რომელთა დაკომპლექტებაც უნივერსიტეტში მოქმედი სხვადასხვა სამაგისტრო პროგრამიდან გახდა შესაძლებელი. (გამონაკლისი, საგანგებოდ ამ პროგრამისთვის დამუშავებული არჩევითი სასწავლო კურსი: „კონსტრუქციული აგროჟურნალისტიკაა“). თითოეული დარგობრივი ქვებლოკი რამდენიმე არჩევით საგანს შეიცავს. არცერთ მათგანს წინაპირობა არ გააჩნია, რაც სტუდენტს გაუადვილებს სასწავლო გეგემის შედგენას.

სწავლის პროცესში მაგისტრანტებს შეუძლიათ აირჩიონ შეთავაზებული ვარიანტებიდან ერთ-ერთი პროფილი. დამატებითი სფეროს ათვისებით, მათ საშუალება ექნებათ, უფრო ზუსტად შექმნან პროფესიული სტრატეგია.

საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს; პროგრამა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

პროგრამის სწავლის შედეგების სრულყოფილად მიღწევისათვის ექსპერტთა ჯგუფმა მიზანშეწონილად მიიჩნია - პროგრამის კურიკულუმს დაემატოს სასწავლო კურსის სოციოლოგიურ მონაცემთა დამუშავება და ანალიზი, ან / დამოუკიდებელი პრაქტიკის კურსში აისახოს სოციოლოგიური მონაცემების დამუშავებისა და ანალიზისთვის (მათ შორის spss პროგრამა) აუცილებელი პროფესიული უნარების გამომუშავება.

პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები ძირითადად თანმიმდევრულად , ლოგიკურადაა დალაგებული და უზრუნველყოფს ცოდნის გრადაციას საბაზისოდან ფართომდე. შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობებიც მეტწილად ადეკვატურია. თუმცა, სასწავლო კურსი „ლოკალური მედიის ტენდენციები“

| |
|---|
| სწავლის შედეგების (მედიასაშუალებების საქმიანობაზე დაკვირვება; მონიტორინგი; მულტიმედიური პროდუქტის შეფასება; მონაცემთა შეგროვება-ანალიზი) მისაღწევად წინასწარ მოითხოვს მედიაკვლევის მეთოდების ცოდნას. ამიტომ ექსპერტთა ჯგუფმა მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული სასწავლო კურსის მესამე სემესტრში სწავლება ( პირველის ნაცვლად) და წინაპირობად სასწავლო კურსის „მედიის კვლევების ფორმები და ტექნოლოგიები“ განსაზღვრა.<br><br>მთლიანობაში, პროგრამის სასწავლო კომპონენტები უზრუნველყოფს ჩარჩოს მიხედვით განსაზღვრული დარგობრივი და ზოგად ტრანსფერული კომპეტენციების მიღწევას - სტუდენტთა პროფესიული და ეთიკური ღირებულებების გააზრებას სოციალური პასუხისმგებლობის კონტექსტში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>▪ თვითშეფასების ანგარიში<br>▪ კსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;<br>▪ საგანმანათლებლო პროგრამა;<br>▪ სილაბუსები;<br>▪ კურიკულუმის რუკა;<br>▪ პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის მტკიცებულებები;<br>▪ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;<br>▪ ინტერვიუს შედეგები დამსაქმებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან; აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>➢ სასწავლო კურსის „ლოკალური მედიის ტენდენციები“ სწავლება განისაზღვროს მესამე სემესტრში, წინაპირობად მიეთითოს „მედიის კვლევების ფორმები და ტექნოლოგიები“;<br>➢ პროგრამის კურიკულუმს დაემატოს სასწავლო კურსი- სოციოლოგიურ მონაცემთა დამუშავება და ანალიზი, ან / დამოუკიდებელი პრაქტიკის კურსში აისახოს სოციოლოგიური მონაცემთა დამუშავებისა და ანალიზისთვის აუცილებელი პროფესიული უნარების გამომუშავება. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |

○

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

➢ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული ძირითადი სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება მედიის კვლევების და მულტიმედია წარმოების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუქით.

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი დრო) უზრუნველყოფს მათი სწავლის შედეგების მიღწევას. (სასწავლო კურსის "ლოკალური მედიის ტენდენიები" შედეგების შესახებ ანალიზი იხ. 2.2. სტანდარტში). თითოეული სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა გამოთვლილია მისი სპეციფიკის, თავისებურებებისა და სტუდენტთა დატვირთვის მოცულობის გათვალისწინებით.

პროგრამის სასწავლო კურსებში თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება.

სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა ძირითადად უზრუნველყოფს პროგრამით სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა სასწავლო კურსებში: „ლოკალური მედიის ტენდეცნიები" და „კომუნიკაციის აუდიოვიზულური ფორმები 1 (აუდიო კონტენტის წარმოება) ლიტერატურა მოძველებულია და საჭიროებს განახლებას. ვინაიდან სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობას წარმოადგენს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა, სასურველია, პროგრამის სასწავლო კურსებში ( როგორც ძირითად, ასევე არჩევით საგნებში) კურსების შინაარსზე და კურიკულუმში მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დამატებულ იქნას თანამედროვე, უახლეს ტენდენციებსა და მიღწევებზე დაფუძნებული რელევანტური ლიტერატურა მათ შორის სასწავლო მასალები (მათ შორის ვიდეო ლექციებიც).

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;

**რეკომენდაციები:**

- შეიცვალოს და განახლდეს ლიტერატურა სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებში: „ ლოკალური მედიის ტენდენციები“; „კომუნიკაციის აუდიოვიზულური ფორმები 1 (აუდიო კონტენტის წარმოება) .

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

პროგრამის განვითარებისთვის, სასურველია, პროგრამის სასწავლო კურსებში ( როგორც ძირითად, ასევე არჩევით საგნებში) კურსების შინაარსზე და კურიკულუმში მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დამატებულ იქნას თანამედროვე, უახლეს ტენდენციებსა და მიღწევებზე დაფუძნებული რელევანტური ლიტერატურა მათ შორის სასწავლო მასალები (მათ შორის ვიდეო ლექციებიც).

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

| |
|---|
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>მედიის კვლევებისა და მულტიმედია წარმოების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად პროგრამის კურუკულუმი და ცალკეული დისციპლინების სილაბუსები ითვალისწინებს სტუდენტებისათვის პრაქტიკული, სამეცნიერო და კვლევითი უნარების განვითარებისათვის საჭირო აქტივობებს.<br>პროგრამის ფარგლებში, პრაქტიკის კომპონენტი ხორციელდება ე. წ შერეული მოდელით: ა) სავალდებლო და არჩევით სასწავლო კურსებში ჩაშენებული პრაქტიკითა და ბ) პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსით, რომელიც საბოლოოდ კრავს და ამთლიანებს იმ ცოდნას, უნარებსა და გამოცდილებას, რომელსაც სტუდენტი დაეუფლა თეორიული კურსებისა და კურსებში ჩაშენებული პრაქტიკის გავლის პერიოდში.<br>პროგრამის სტრუქტურა პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსის გავლას 10 კრედიტის ფარგლებში ითვალისწინებს და მისი მიზანია სტუდენტებმა უშუალოდ თავისი სპეციალობის საკომუნიკაციო რეჟიმში გამოიყენონ აკადემიურ გარემოში შეძენილი კომპეტენციები. პრაქტიკის პერიოდში სტუდენტებს ზედამხედველობას უწევს პრაქტიკის ხელმძღვანელი. პრაქტიკის სილაბუსი მოიცავს სწავლის შედეგების აღწერას და შეფასების კომპონენტებს.<br>საგანმანათლებო პროგრამის პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსი ორგანიზებული და დაგეგმილია ძირითადად მედიაპროდუცირების მიმართულებით და ნაკლებ ყურადღებას უთმობს მედიამკვლევრისთვის აუცილებელი საკომუნიკაციო და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რაც თავისთავად პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსის ამ მიმართულებით გაძლირების აუცილებლობას ქმნის.<br>მულტიმედიურ სფეროში პროფესიულ უნარების ათვისებას მაგისტრანტები შესძლებენ კსუ-ს მულტიმედია ცენტრში, რომელიც უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის პროგრამების სტუდენტებისთვის დახელოვნების ძირითადი ბაზაა და რეალურ სარედაქციო რეჟიმში მუშაობს. სტუდენტებს ექნებათ მოსამზადებელი სხვადასხვა ჟანრისა და ფორმის ჟურნალისტური მასალები, რომლებიც აისახება ცენტრის ვებგვერდზე, უნივერსიტეტის პარტნიორი მედია ორგანიზაციების ეთერში და პერიოდულ გამოცემათა ფურცლებზე. სწავლის პერიოდში მაგისტრანტის მიერ მომზადებული მედია პროდუქცია ერთგვარ პორტფოლიოს დაემსგავსება, რომელსაც ის მომავალში პოტენციურ დამსაქმებელს წარუდგენს.<br>თვითშეფასების ჯგუფისა და პოტნციურ დამსაქმებლებთან ინტერვიუს სესიებით დასტურდება, რომ პროგრამას ჰყავს პერსპექტიული დამსაქმებლები, რომლებიც მზად არიან გრძელვადიან პერიოდში საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოებში ითანამშრომლონ უნივერსიტეტთან. პროგრამის განვითარებისთვის სასურველი იქნება პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსის ერთ-ერთ ბაზად შეთავაზებული იყოს პოტენციური დამსაქმებელი ორგანიზია, რაც ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს სტუდენტების უშუალოდ პროფესიულ გარემოში ადაპტირებას, მეორე მხრივ კი მათ დასაქმებას. |

რაც შეეხება კვლევით კომპონენტს, აღნიშნული პროგრამის კურიკულუმით კვლევითი კომპონენტი ჯამში 45 კრედიტს შეადგენს: მედია კვლევების ფორმები და ტექნოლოგიები (10 კრედიტი); აკადემიური წერა მაგისტრანტებისთვის (5 კრედიტი); სამაგისტრო ნაშრომის შესრულება, სამაგისტრო ნაშრომის დაცვა (30 კრედიტი).
ამასთან, ყოველ წელს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში იმართება ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენცია. კონფერენციაზე მედიცინის, სამართლის, ბიზნესის, საერთაშორისო ურთიერთოებებისა და ჟურნალისტიკის სექციებია წარმოდგენილი.

კსუ-ში შექმნილია სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტი, რომელიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტში სამეცნიერო - კვლევითი მიმართულების განვითარებას. ინტერვიუს სესიების დროს ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო ინფორმაცია დაგეგმილი პროექტების შესახებ:

1. ახალგაზრდა მეცნიერების საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის საგრანტო კონკურსი - ჩატარდება წელიწადში ორჯერ.
2. უნივერსიტეტის ფუნდამენტური კვლევების გრანტებისა და მცირე სამეცნიერო გრანტების კონკურსი, რომლის ფარგლებში სავალდებულოა პროექტის ძირითად პერსონალში ახალგაზრდა მკვლევრების ჩართვა უნივერსიტეტიდან – არანაკლებ ერთი ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი.
3. ახალგაზრდა მეცნიერების/მკვლევრების თანადაფინანსება სამეცნიერო გრანტების მოსაზიდად, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი აცხადებს თანადაფინანსებას კსუ-ს ნებისმიერი სტუდენტისთვის და კურსდამთავრებულისთვის, რომელიც ცდილობს დაფინანსების მოპოვებას სხვადასხვა დონორი ორგანიზაციებისგან სამეცნიერო პროექტის განსახორციელებლად.

კვლევების ინტერნაციონალიზაციის გასაუმჯობესებლად და სამეცნიერო-აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების სამეცნიერო პროდუქტიულობის და საერთაშორისო ცნობადობის ასამაღლებლად უნივერსიტეტი ატარებს ღონისძიებებს, რასაც ადასტურებს უნივერსიტეტში, მიმდინარე გრანტებით დაფინანსებული 12 კვლევითი პროექტი, რომელთა ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნა არის კვლევაში უცხოელი მეცნიერის ჩართულობა, პუბლიკაციების გამოქვეყნება მაღალი ხარისხის იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში და სტუდენტების მონაწილეობა. ჟურნალისტიკის მიმართულებით ერთი კვლევითი პროექტი იქნა წარმოდგენილი.

2009 წლიდან უნივერსიტეტში გამოდის რეცენზირებადი, სამენოვანი, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე“.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში
- სილაბუსი
- სტუდენტური კონფერენციები, გამოფენები, და ა.შ.დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ფოტომასალა;

- მომიჯნავე პროგრამის (ჟურნალისტიკა) განხორციელებული პრაქტიკა;
- მულტიმედიაცენტრის ვიზუალური დათვალიერება;
- მომიჯნავე პროგრამის პრაქტიკის შედეგების ამსახველი დოკუმენტაცია, მედიაპროდუქცია;
- შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები პერსპექტიულ დამსაქმებლებთან ;
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის და მულტიმედიაცენტრის ხელმძღვანელებთან, პრაქტიკის ხელმძღვანელთან.

**რეკომენდაციები:**

- პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსი გაძლიერდეს მედიამკვლევრისთვის საჭირო პროფესიული უნარების გამომუშვების მიმართულებით.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, სტაჟირების ან პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსის შეთავაზება პარტიორ მედიაორგანიაციებშიც, რაც ხელს შეუწყობს როგორც სტუდენტების უშუალოდ პროფესიულ გარემოში ადაპტირებას, ისე მათ დასაქმებას.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

➢ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თითეული საწავლო კურსის სილაბუსში დეტალურადაა გაწერილი სწავლება-სწავლის ფორმები და მეთოდები, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების მაგისტრატურის საფეხურთან და კურსის შინაარსთან, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.
წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები როგორც ლექციებითა და ჯგუფში მუშაობით, ასევე, პრაქტიკული მეცადინეობებით ხორციელდება.
პროგრამა იყენებს სწავლისა და სწავლების შემდეგ მეთოდებს:

- წიგნზე მუშაობის მეთოდი;
- ვერბალური – ზეპირსიტყვიერი მეთოდი;
- პრეზენტირებისა და დემონსტრირების მეთოდი;
- წერითი მუშაობის მეთოდი;
- დებატების წარმოების მეთოდი;
- ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის მეთოდი;
- თვალსაჩინო მაგალითის განხილვით სწავლება, შემთხვევის ანალიზი (Case study);
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლებით ემპირიული კვლევის მეთოდების შესწავლა;
- გამოცდილებითი სწავლების მეთოდი;
- თანამონაწილეობითი სწავლების მეთოდი;

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.

- ევრისტიკული მეთოდი;
- გონებრივი იერიში (Brain storming);
- როლური და სიტუაციური თამაშები;
- ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი;
- ახსნა-განმარტებითი მეთოდი;
- პრაქტიკული სწავლების მეთოდი.

სწავლების პროცესში შესაძლებელია ამა თუ იმ მეთოდისთვის პრიორიტეტის მინიჭება სასწავლო კურსის სპეციფიკიდან და თავისებურებებიდან გამომდინარე, რადგან სწავლებისას გამოყენე-ბული მეთოდების შერჩევა მიმართულია სწავლების აქტივიზებაზე, შემეცნებითი საქმიანობის განვითარებაზე და სტიმულირებაზე, სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობაზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები
- სწავლება-სწავლის მეთოდები
- ინტერვიუს სედეგები აკად/მოწვეულ პერსონალთან

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>➢ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.6. სტუდენტების შეფასება** |
| სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამის განხორციელებისა და სასწავლო დისციპლინების სწავლებისას, თითოეულ დისციპლინაში სტუდენტის მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) დასაქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ შესაბამისი შეფასების სისტემით.<br>ცოდნის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ და გამჭვირვალეა. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია სასწავლო კურსის სილაბუსებში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის. თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შეფასების კომპონენტების შინაარსი და მეთოდები განსხვავებულია და შეესაბამება კურსის შედეგებს. |

| |
|---|
